

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახური

**დიპლომის დანართის შემუშავების ინსტრუქცია 2005-2007 წლებში
კურსდამთავრებულთათვის**

ზოგადი სახელმძღვანელო წესები

- დანართი ინომრება პირველივე გვერდიდან.
- დანართის შევსების დროს გამოყენებული უნდა იყოს შრიფტი: "Sylfaen".
- დანართის შეკვრა ხდება ე.წ. „ნოტარიული წესით“.
- დანართის ყველა ფურცელი მეორე მხრიდან მოწმდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერითა და ბეჭდით.
- ბოლო ფურცელი მოწმდება დანართის შეკვრის ადგილზე დაწებებულ ფურცელზე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის გარდამავალი ხელმოწერითა და ბეჭდით.

2005–2007 წლებში კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართი ფორმდება ქვემოთ მოყვანილი ინსტრუქციისა და ნიმუშის მიხედვით:



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**[თესაუ] №... [მიუთითეთ დიპლომის ნომერი]
დიპლომის დანართი**

დიპლომის დანართის ეს მოდელი დამუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ. დანართის მიზანია მიაწოდოს დასაბუთებული მიუკერძოებელი მონაცემები საერთაშორისო `გამჭვირვალობის- გასაუმჯობესებლად და კვალიფიკაციების (დიპლომების, ხარისხების, სერთიფიკატების და ა.შ.) აკადემიური და პროფესიული ცნობის დასაზუსტებლად. მისი მიზანია, აღწეროს დასახელებული პირის მიერ ამ დანართის შესაბამის ორიგინალურ კვალიფიკაციაში გავლილი და წარმატებით დასრულებული სასწავლო პროგრამის ხასიათი, დონე, კონტექსტი, შინაარსი და სტატუსი. აღწერა თავისუფალი უნდა იყოს რაიმე შეფასებითი დასკვნებისაგან, ეკვივალენტობის მტკიცებისა ან აღიარების შესახებ შეთავაზებისაგან. ინფორმაცია უნდა შეივსოს რვავე პარაგრაფში. თუ ინფორმაცია არ არის მოცემული, საჭიროა განიმარტოს მიზეზი.

1. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ

- 1.1 გვარი:
- 1.2 სახელ(ებ)ი: [მიუთითეთ ყველა ოფიციალური სახელი]
- 1.3 დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი): [ნიმუში: 30 ივნისი 1985 წელი]
- 1.4 სტუდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (თუ არსებობს): პირადი №... [მიუთითეთ პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომერი]

2. ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ

2.1 კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე): [აღნიშნული პუნქტი მოითხოვს ორი სახის ინფორმაციას კერძოდ: კვალიფიკაციის სრულ დასახელებას და მინიჭებულ წოდებას (თუ ასეთი არსებობს).

კვალიფიკაციის სრული დასახელება: მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი.

დანართის ინგლისურ ტექსტში კვალიფიკაციის სახელწოდების თარგმანთან ერთად უნდა მიეთითოს კვალიფიკაციის დასახელება ორიგინალის ენაზეც, ლათინური ასოებით და ისე, როგორც ეს მიღებულია საქართველოში. მაგალითად, Bachelor of Arts / Humanitarul mecnierebata Bakalavri ან Master of Science / Sabunebismetkvelo mecnierebata Magistri.

თუ კვალიფიკაცია არის ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ერთობლივი ხარისხი, მაშინ ეს ამ პუნქტში უნდა აღინიშნოს. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი (ერთობლივი ხარისხი); ინგლისურად – Master of Science (Joint degree).

ნიმუში: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრი ფიზიკაში
2.2 კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი: [მიუთითეთ მხოლოდ ის

ძირითადი დარგი/დარგები, რომელიც განსაზღვრავს მთავარ საგნებს კვალიფიკაციის მისაღებად. მაგალითად, მათემატიკა, ისტორია, ბიზნესის ადმინისტრირება, ბიოლოგია და ა.შ.

ნიმუშები: 1. მათემატიკა;

2. მათემატიკა (ძირითადი სპეციალობა), საინფორმაციო ტექნოლოგიები (დამატებითი სპეციალობა)]

2.3 დიპლომის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე): [მიუთითეთ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო დაწესებულება. ინგლისურ დანართში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების ინგლისური თარგმანის გვერდით ლათინური ასოებით მიუთითეთ ქართული სახელწოდება. მაგალითად, Tbilisi State University / Tbilisi Sakhelmtsipho University. ერთობლივი ხარისხის შემთხვევაში, როდესაც კვალიფიკაცია გაცემულია ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნდა მიეთითოს ყველა მათგანი და ამასთან, თუ ეს შესაძლებელია, უნდა აღინიშნოს ის ინსტიტუცია, სადაც განხორციელდა სწავლების ძირითადი ნაწილი (ან კვალიფიკაციის ძირითადი ნაწილი იქნა მიღებული). მიუთითეთ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი სასწავლებლის სტატუსი და აკრედიტაცია. მაგალითად, „[უსდ-ს სახელწოდება] არის, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ 2010 წელს აკრედიტებული, კერძო კოლეჯი, არასაუნივერსიტეტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“.

ნიმუში: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აკრედიტებულია განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ 2006 წლის 27 ოქტომბრის.]

2.4. იმ დაწესებულების (თუ განსხვავდება 2.3-სგან) დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე), რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი: [ეს პუნქტი შეეხება იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებდა სწავლებას. ზოგიერთ შემთხვევაში იგი განსხვავდება კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულებისაგან (იხ. 2.3 ზევით). იმ შემთხვევაში, თუ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებას აძლევს მეორე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განახორციელოს მისი პროგრამა „ფრანჩაიზის“ ან სხვა ტიპის ვალიდაციის საფუძველზე, მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება და სტატუსი.

თუ ასეთი შემთხვევა არ არსებობს ქართულად მიუთითეთ: „შესაბამისი ინფორმაცია არ არსებობს / არ განსხვავდება 2.3-გან“, ინგლისურად კი “N/A”.

2.5 სწავლების/გამოცდის ენა (ენები): [მიუთითეთ სწავლების/გამოცდის ენა ნიმუში: ქართული]

3. ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ

3.1. კვალიფიკაციის დონე: [მიუთითეთ კვალიფიკაციის დონე და მისი ადგილი ეროვნულ საგანმანათლებლო სტრუქტურაში (რომელიც მოცემულია და ახსნილია დანართის მერვე პარაგრაფში) და/ან მისი ადგილი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში, რომელიც ასევე მოცემულია მერვე პარაგრაფში.

ნიმუში: უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ბაკალავრიატი.

3.2. პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა: [განმარტეთ პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა კვირებში ან წლებში და სასწავლო დატვირთვა, მათ შორის ისეთი ძირითადი ქვეკომპონენტების მითითებით, როგორცაა საწარმოო პრაქტიკა. ბაკალავრიატისათვის მაგალითად, 240 ECTS კრედიტი; 1 აკადემიური წელი ჩვეულებრივ 60 კრედიტი; სემესტრი 30 კრედიტი; 1კრედიტი = 25 საათს.

ნიმუში: 240 ECTS კრედიტი, 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), 1 ECTS კრედიტი = 25 საათს.

3.3. მიღების მოთხოვნები: [ჩამოთვალეთ ან ახსენით ის მოთხოვნები, რომელიც საჭიროა დიპლომის დანართში მითითებული კვალიფიკაციის შესაბამის პროგრამაზე აბიტურიენტის დასაშვებად. ბაკალავრიატისათვის მიუთითეთ საშუალო სკოლის ატესტატი.

ნიმუში: სრული ზოგადი განათლების ატესტატი (ბაკალავრიატისათვის)]

4. ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

4.1. სწავლების ფორმა: [სწავლის ფორმა უჩვენებს რა სახით იყო მიღებული კვალიფიკაცია, მაგალითად, სწავლა სრული დატვირთვით, სწავლა ნაწილობრივი დატვირთვით, დისტანციური განათლება.

ნიმუში: დღის დასწრებული (ინგლისურად – Full time)

4.2. პროგრამის მოთხოვნები: [მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, (თუ შესაძლებელია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სახით). ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ არის ძირითადი და განმსაზღვრელი კვალიფიკაციის აღიარებისათვის. თუ შესაძლებელია მიუთითეთ დეტალები დებულებიდან, რომელიც განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო მინიმალურ სტანდარტებს. მაგალითად, კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ნებისმიერი სავალდებულო კომპონენტი ან სავალდებულო პრაქტიკული ელემენტი, საჭიროა თუ არა ყველა ელემენტის ერთდროული შესრულება, თეზისის/დისერტაციის დებულებები. მოიყვანეთ განსაკუთრებული დეტალები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია კვალიფიკაციის აღწერა.

ნიმუში: პროგრამა მოითხოვს 10 კრედიტიან საბაკალავრო ნაშრომს და 10 კრედიტიან სასწავლო პრაქტიკას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები:

დარგობრივი კომპეტენციები:

- გამოყენებითი მათემატიკის მეთოდების ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- კონსტრუქციული სისტემების, მისი კომპონენტების გაანგარიშების/კონსტრუირების უნარი;
- საინჟინრო/სამშენებლო პრაქტიკისათვის აუცილებელი თანამედროვე მეთოდოლოგიების, მათ შორის IT ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- სამშენებლო/საინჟინრო პრობლემების გააზრების, ფორმულირებისა და გადაჭრის უნარი;
- ტექნიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების გაგება და სამშენებლო სამუშაოების გარემოსათვის უვნებლად წარმართვის უნარი;
- ექსპერიმენტების, საველე და ლაბორატორიული სამუშაოების დაგეგმვის, ჩატარების და ანალიზის და მიღებული მონაცემების ინტერპრეტირების უნარი;

- სამოქალაქო ინჟინრის პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის ცოდნა და გათავისება.

ზოგადი კომპეტენციები:

- ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- კომუნიკაციის უნარი;
- ჯგუფური მუშაობის უნარი.]

4.3. პროგრამის დეტალები (შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და შეფასებები/კრედიტები: [მიუთითეთ კვალიფიკაციის ყოველი ინდივიდუალური ელემენტი და მათი წვლილი კვალიფიკაციის განსაზღვრაში. ჩანაწერი ზედმიწევნით სრული უნდა იყოს. მიუთითეთ ყველა სასწავლო კურსი, თეზისის/ნაშრომის და პრაქტიკის ჩათვლით, შესაბამისი შეფასებებითა და მინიჭებული კრედიტებით. ნაშრომის შემთხვევაში მიუთითეთ მოხდა, თუ არა მისი დაცვა. ყველა ეს ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნას კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ნიშნების ფურცლის სახით. თუ კვალიფიკაცია არის ერთობლივი ხარისხი, მაშინ მიუთითეთ რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშია მიღებული კვალიფიკაციის ესა თუ ის ნაწილი.

იმ შემთხვევაში, თუ შეფასების სისტემა განისაზღვრებოდა 5-ბალიანი სისტემით შეფასებები გადაყვანილი უნდა იყოს 4.4 პუნქტში მოყვანილი შეფასების სისტემის შესაბამისად. "ჩათვლების" გადაყვანა ხდება სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების საშუალო ქულის მიხედვით. ამ შემთხვევაში ქვემოთ მოყვანილ ცხრილში არ მოხდება ქულის და სტატუსის მითითება.

ნიმუში:

№	სასწავლო კურსი/მოდული	სტატუსი	სემესტრი	კრედიტი	ქულა	შეფასება
1	მათემატიკური ანალიზი	სავალდებულო	II	5	95	(A) ფრიადი
2	ისტორია	არჩევითი	III	5	85	(B) ძალიან კარგი
3						
4						
5						

4.4. შეფასების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია: [გადმოეცით ინფორმაცია კვალიფიკაციასთან დაკავშირებული შეფასების სისტემისა და გამსვლელი ნიშნების შესახებ. ერთობლივი ხარისხების შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა შეფასების სქემა გამოიყენება აღნიშნულ პუნქტში უნდა მიეთითოს ინფორმაცია ყველა შეფასების სქემის შესახებ, რომელიც შეეხება მოცემულ კვალიფიკაციას და ასევე ნიშნების ტრანსფერი.

ნიმუში: კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 1) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%.

4.5. კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია (ორიგინალის ენაზე): [თუ არსებობს, მოიყვანეთ საბოლოო კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია, მაგალითად, დიპლომი წარჩინებით, *Summa Cum Laude* ან საშუალო ნიშანი, მაგ. "ფრიადი". ინგლისურ ვარიანტში მიუთითეთ ასევე ორიგინალის ენაზეც, ლათინური ასოებით, მაგ. *diplomi tsarchinebit*
ნიმუში: დიპლომი წარჩინებით.]

5. ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ

5.1 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე: [მიუთითეთ, იძლევა თუ არა კვალიფიკაცია შემდგომ საფეხურზე დაშვების ან საფეხურის დასრულების უფლებას. აღნიშნეთ ეს კვალიფიკაცია საბოლოოა თუ კვალიფიკაციის იერარქიის მხოლოდ ერთი ნაწილია.]

ნიმუში: უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაში.

5.2. პროფესიული სტატუსი (თუ ასეთი არსებობს): [დეტალურად ახსენით კვალიფიკაციის მფლობელის ნებისმიერი პრაქტიკული საქმიანობის უფლება ან პროფესიულ სტატუსთან შესაბამისობა. რა სპეციალური დაშვების უფლებას (თუ ასეთი არსებობს) იძლევა კვალიფიკაცია დასაქმებისა და პროფესიული პრაქტიკის თვალსაზრისით და მიუთითეთ, რომელი კომპეტენტური ორგანო იძლევა მას. მიუთითეთ რომელ „რეგულირებად პროფესიაზე“ აქვს დაშვება ამ კვალიფიკაციას. მაგალითად, უნდა განიმარტოს დიპლომირებული მედიკოსის რეგულირების საკითხი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.]

ნიმუში: არ არსებობს. საინჟინრო საქმე არაა რეგულირებადი.]

6. დამატებითი ინფორმაცია

6.1 დამატებითი ინფორმაცია: [გადმოეცით ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არაა ზემოთ მოცემული, მაგრამ მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ხასიათის, დონისა და გამოყენების შეფასების მიზნებისათვის. მაგალითად, ის, რომ კვალიფიკაცია მოიცავს სწავლის/მომზადების პერიოდს სხვა სასწავლებელში/კომპანიაში/ქვეყანაში და დაურთეთ შესაბამისი დეტალები იმ სასწავლებლის შესახებ. დამატებითი ინფორმაცია ერთობლივი ხარისხის მიმნიჭებელზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ, ის რაც 2.3 პუნქტში არაა მითითებული. მიუთითეთ თუ შესაბამისი ინფორმაცია არ არსებობს.]

ნიმუშები: 1. სტუდენტმა პრაქტიკა გაიარა [მიუთითეთ სახელწოდება] კომპანიაში. პრაქტიკის დროს ასრულებდა შემდეგ ფუნქციებს [მიუთითეთ ყველა ფუნქცია]. სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო 2008 წელს საუნივერსიტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც წარადგინა მოხსენება: „[მიუთითეთ მოხსენების სათაური]“

2. შესაბამისი ინფორმაცია არ არსებობს.]

6.2 დამატებითი ინფორმაციის წყაროები: [გადმოეცით ინფორმაცია სხვა სასარგებლო წყაროებისა და ლიტერატურის შესახებ, სადაც შეიძლება ცნობების

მოპოვება კვალიფიკაციის შესახებ. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის ვებ-გვერდი.

ნიმუში: დამატებითი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ შეიძლება მიიღოთ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tesau.edu.ge.

7. დანართის დამოწმება

7.1 თარიღი: [დიპლომის დანართის გაცემის თარიღი. სავალდებულო არ არის ის ემთხვეოდეს კვალიფიკაციის მინიჭების თარიღს.

ნიმუში: 25.05.2010]

7.2 ხელმოწერა: /

7.3 თანამდებობა: რექტორი

7.4 ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი:

8. ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ

საქართველოს განათლების სისტემა

სავალდებულო განათლება - 6 წლიდან 14 წლამდე.

სკოლის სისტემის სტრუქტურა

დაწყებითი სკოლა მოიცავს 6 წლიან სწავლებას 6 წლიდან 12 წლამდე.

საბაზო სკოლა მოიცავს 3 წლიან სწავლებას 12 წლიდან 15 წლამდე.

საშუალო სკოლა მოიცავს 2 წლიან სწავლებას 15 წლიდან 17 წლამდე, რის დამთავრების შემდეგაც ეძლევათ საშუალო განათლების ატესტატი. საბაზო სკოლის შემდგომ შესაძლებელია დაწყებითი პროფესიული ან საშუალო პროფესიული განათლების მიღებაც. დაწყებითი პროფესიული ან საშუალო პროფესიული სასწავლებლის დიპლომთან ერთად ასევე გაიცემა საშუალო განათლების ატესტატიც. ეს საშუალო განათლების დამადასტურებელი ორივე დოკუმენტი იძლევა უმაღლესი განათლების მიღების უფლებას.

უმაღლესი განათლების სისტემა:

საქართველოში არსებობს შემდეგი ტიპის უმაღლესი განათლების დაწესებულებები: უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, აკადემია და კონსერვატორია. უმეტესი მათგანი გადასულია სამ საფეხურიან განათლებაზე: ბაკალავრიატი – 3 ან 4 წელი, მაგისტრატურა – 2 წელი და დოქტორანტურა – 3 წელი, აგრეთვე არსებობს

დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა – ერთსაფეხურიანი სწავლება 3-5 წლიანი (სამედიცინო განათლებაში – 5-6 წლიანი);

ბაკალავრიატი – ბაკალავრიატში სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა საშუალო განათლების ატესტატი. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ ბაკალავრის დიპლომი, ფრიადოსან სტუდენტებს ბაკალავრის დიპლომი წარჩინებით; **მაგისტრატურა** – მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი. მისი დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ მაგისტრის (ხარისხი) დიპლომი, ფრიადოსან სტუდენტებს მაგისტრის დიპლომი წარჩინებით;

დოქტორანტურა – სტუდენტები, რომლებიც ფლობენ მაგისტრის ხარისხს ან მასთან გათანაბრებული აკადემიურ ხარისხს უფლება ეძლევათ სწავლა გააგრძელონ დოქტორანტურაში, რის დასრულების შემდეგაც იღებენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა – პროგრამის გასაველად საჭიროა საშუალო განათლების ატესტატი. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი, ფრიადოსან სტუდენტებს დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი წარჩინებით.


უმაღლეს სასწავლებელში შესვლის პირობები:

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ ერთიან ეროვნულ გამოცდებგავლილ აბიტურიენტს მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე. სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი განათლების მისაღებად აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდამდე გადიან შესაბამის კონკურსს სასპორტო და სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

შეფასების სისტემები

სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა შეფასების სისტემებია, როგორებიცაა 5 ბალიანი, 10 ბალიანი და 100 ბალიანი.

საქართველოს განათლების სისტემის სქემატური მიმოხილვა



1 – დაწყებითი პროფესიული + საშუალო განათლება – დიპლომი და ატესტატი (3-4 წელი)

2 – საშუალო პროფესიული განათლება – დიპლომი (3-4 წელი)

3 – დაწყებითი პროფესიული განათლება – დიპლომი (1-2 წელი)



IAKOB GOGEBASHVILI TELAVI STATE UNIVERSITY

[TESAU] №...

DIPLOMA SUPPLEMENT

This Diploma Supplement follows the model developed by the European Commission, Council of Europe and UNESCO/CEPES. The purpose of the supplement is to provide sufficient independent data to improve the international “transparency” and fair academic and professional recognition of qualifications (diplomas, degrees, certificates etc.). It is designed to provide a description of the nature, level, context, content and status of the studies that were pursued and successfully completed by the individual named on the original qualification to which this supplement is appended. It should be free from any value judgments, equivalence statements or suggestions about recognition. Information in all eight sections should be provided. Where information is not provided, an explanation should give the reason why.

1. INFORMATION IDENTIFYING THE HOLDER OF THE QUALIFICATION

- 1.1. Family name(s):**
- 1.2. Given name(s):**
- 1.3. Date of birth (day/month/year):** [30.06.1985]
- 1.4. Student identification number or code (if available):** Personal №

2. INFORMATION IDENTIFYING THE QUALIFICATION

- 2.1. Name of qualification and (if applicable) title conferred (in original language):** [Bachelor of Natural Sciences in Physics / sabunebismetkvelo mecnierebebis bakalavri fizikashi]
- 2.2. Main field(s) of study for the qualification:** [1. Mathematics; 2. Mathematics (Major), Information Technologies (Minor)]
- 2.3. Name and status of awarding institution (in original language):** Iakob Gogebashvili Telavi State University (Iakob Gogebashvilis saxelobis Telavis saxelmtsifo universiteti), Legal Entity of Public Law, was accredited by National Center for Educational Accreditation on 27th October, 2006.
- 2.4. Name and status of institution (if different from 2.3.) administering studies (in original language):** [N/A]
- 2.5. Language(s) of instruction/examination:** [Georgian]

3. INFORMATION ON THE LEVEL OF THE QUALIFICATION

- 3.1. Level of qualification:** [The first cycle of Higher Education, Bachelor.]
- 3.2. Official length of program:** [240 ECTS credits, 4 academic years (8 terms), 1 ECTS credit = 25 hours.]

3.3. Access requirement(s): [General education diploma (for Bachelor).]

4. INFORMATION ON THE CONTENTS AND RESULTS GAINED

4.1. Mode of study: [Full time.]

4.2. Program details:

4.3. Program details: (studied modules and units), and the individual grades/marks/credits obtained:

Nº	Course/Module	Status	Term	Credit	Point	Grade
1	Mathematical Analysis	Obligatory	II	5	95	(A) Excellent
2	History	Elective	III	5	85	(B) Very good
3						
4						
5						

4.4. Scheme and, if available, grade distribution guidance: The credit is available in case the student fulfils learning outcomes required by the syllabus. The maximal point is 100.

Grading system allows five types of positive grades:

- 1) (A) Excellent – 91% of maximal point and more;
- 2) (B) Very good – 81-90% of maximal point;
- 3) (C) Good – 71-80% of maximal point;
- 4) (D) Satisfactory – 61-70% of maximal point;
- 5) (E) Sufficient – 51-60% of maximal point.

4.5. Overall classification of the qualification (in original language): [Diploma with honour (diplomi tsarchinebit).]

5. INFORMATION ON THE FUNCTION OF THE QUALIFICATION

5.1. Access to further study: [The graduate is allowed to continue studies on the second cycle of Higher Education, at Master's Level.]

5.2. Professional status (if applicable): [N/A. The Engineering is not a regulated profession.]

6. ADDITIONAL INFORMATION

6.1. Additional information: [N/A]

6.2. Further information sources: The additional information about the programme of study is available on the website of Iakob Gogebashvili Telavi State University: www.tesau.edu.ge.

7. CERTIFICATION OF THE SUPPLEMENT

7.1. Date:

7.2. Signature: /...../

7.3. Position: Rector

7.4. Official stamp or seal:

8. INFORMATION ON THE NATIONAL HIGHER EDUCATION SYSTEM

Educational System of Georgia

Compulsory education: 6 to 14

The structure of school system

Elementary school comprises 6 years of education from 6 to 12.

Basic school comprises 3 years of education from 12 to 15.

Secondary Education comprises 2 years of education (study) from 15 to 17. After completion of which student obtains secondary school leaving certificate. After completion the Basic school students also have access to Primary Vocational Education or Secondary Vocational studies. Together with the Primary and Secondary Vocational Education Diplomas, students also obtain secondary school leaving certificate. These diplomas and certificate give access to higher education.

Higher Education System

There are the following types of higher education institutions: University, Institute, Academy and Conservatory. In the most higher education institutions there are three level studies: Bachelor's Programme that lasts 3 to 4 years; Master's Programme that lasts 2 years and Doctoral Programme that lasts 3 years. There is also Certified Specialist's Programme that represents a single-level higher education programme lasting for 3-5 years (5-6 years in case of medical education).

Bachelor's Programme – For admission on this level of studies persons must hold Secondary School Leaving Certificate. After Completion of this programme students are awarded Bachelor's Degree (Diploma), students with excellent marks are awarded Diploma with Honors.

Master's Programme – students that are awarded Bachelor's Degree or an equal Certified Specialist's Degree may take Master's programme. After completion of this programme students are awarded Master's Degree (Diploma), students with excellent marks are awarded Diploma with Honors.

Doctoral Programme – students that are awarded Master's Degree or an equal academic degree may take doctoral programme. After completion of this programme person is awarded Doctor's Degree.

Certified Specialist's Programme – For admission on this level of studies persons must hold Secondary School Leaving Certificate. After Completion of this programme students are

awarded Certified Specialist's Diploma, students with excellent marks are awarded Diploma with Honors.


Access to Higher Education Institution:

Only the students who have passed the Unified National Examinations may enroll in a state accredited programme at an accredited higher education institution, based on ranking of scores he/she received at the examinations.

Grading System

In different higher education institutions there are different grading systems. The main system is 2-5. At some institutions a scale 0-10 or 1-100 is used.

Schematic Review of Georgian Education System



- 1 – Primary Vocational + Secondary Education – Diploma + Certificate (3-4 years)
- 2 – Secondary Vocational Education – Diploma (3-4 years)
- 3 – Primary Vocational Education – Diploma (1-2 years)